18/03/2025

კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა ალბანეთის ეკლესიის ახალ მეთაურს

მის უნეტარესობას იოანეს,
მიტროპოლიტს ტირანისა და
მთავარეპისკოპოსს სრულიად ალბანეთისა

თქვენო უნეტარესობავ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ ალბანეთის ეკლესიის მეთაურად გამორჩევას.

ღმერთმა მოგანიჭოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, სულიერი ძალა და სიბრძნე თქვენზე დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობის აღსრულებისთვის, რათა იყოთ ღირსეული გამგრძელებელი უნეტარესი ანასტასიოსის ღვაწლისა.

ვიმედოვნებთ, თქვენი საჭეთმპყრობლობის დროს ჩვენს ეკლესიებს შორის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება და თქვენი მწყემსმთავრობა იქნება ნაყოფიერი და სულიერი სიხარულის მომტანი როგორც თქვენი სამწყსოსთვის, ისე საერთოდ მართლმადიდებლობისთვის.

გეწეოდეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით,

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

მის უნეტარესობას იოანეს
მიტროპოლიტს ტირანისა და
მთავარეპისკოპოსს სრულიად აღმანეთისა

თქვენო უნეტარესობავ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ აღმანეთის ეკლესიის მეთაურად გამოირჩევა.

ღმერთის მოგანიჭოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, სულიერი ძალა და სიბრძნე თქვენზე დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობის აღსრულებისთვის, რათა იყოთ ღირსეული გამრავლებული უნეტარესი ანსტასიოსის ღვაწლისა.

ვიმედოვნებთ, თქვენი საპატრიარქოში დროს ჩვენს ეკლესიას შორის კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდება და თქვენი მეგობრობა იქნება ნაყოფიერი და სულიერი სიხარულის მიზეზი როგორც თქვენი სამწყსისთვის, ისე საერთოდ მართლმადიდებლობისთვის.

ეკლესიაში უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოველადწმინდა ღვთისმშობელი.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

17.01.2025

sazu.ge